საქართველოს ჰიპერტენზიის
შემსწავლელი საზოგადოება

პროექტი

,,ჯანდაცვის საჭიროებათა შეფასება პოსტკონფლიქტურ პოპულაციაში"

მონაწილეობითი სამოქალაქო მონიტორინგის ინსტრუმენტები

მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათი

ინსტრუქციები ინტერვიუერებისათვის

2009 წ

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

ორგანიზაციული, ტექნიკური და ეკონომიკური მიზეზებით ხშირად შეუძლებელია და არც არის საჭირო ყველა რესპოდენტის გამოკითხვა. თუ ყველა წესს დავიცავთ, შესაძლებელია გამოიკითხოს გამოსაკვლევი კონტიგენტის მცირე ნაწილი, ე.წ. „შერჩევა" და მაინც მივიღოთ საჭირო მაჩვენებლების საკმაოდ ზუსტი შეფასება მთელი მოსახლეობისათვის.

შერჩევის ზომის განსაზღვრისას ნაგულისხმებია დანაკარგებიც, დაახლოებით 10%-მდე, უარის თქმის და ცარიელი სახლების შემთხვევები.

- კლასტერი გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოს განლაგებული გამოსაკვლევ ერთეულთა ჯგუფია.
- ოჯახი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც იკვებება და ცხოვრობს ერთად (თანამედროვე კვლევებში ოჯახი ხშირად მოიხსენება შინამეურნეობად).

კლასტერული შერჩევა, ჩვეულებრივ მოიცავს სელექციის ორ ეტაპს: დასაწყისში ხდება შედარებით დიდი ჯგუფების (რეგიონის, რაიონის, ქალაქის ან სოფლის, საკრებულოს და ა.შ,) ამორჩევა შერჩევის ჩარჩოდან, შემდეგ კი შემთხვევითად ირჩევენ კლასტერს, ხოლო გამოკვლევისას შეისწავლიან ამ კლასტერში შემავალ ყველა ერთეულს ანუ ოჯახს.

როგორ მოვიქცეთ ველზე მუშაობისას განსაკუთრებულ სიტუაციებში:

-- ზოგჯერ უამინდობის დროს, ცუდი გზების გამო გაძნელებულია სასურველ ადგილამდე მისვლა. ასეთ შემთხვევაში კვლევა ჩაატარეთ უახლოეს სახლში, ასეთი ადგილის მონაცვლეობა ჩაინიშნეთ და მოიხსენეთ საბოლოო ანგარიშში.
-- სიძნელეები გაყოფილი ოჯახების შემთხვევაში
როდესაც რამდენიმე ნათესავური ოჯახი ცხოვრობს ერთ საცხოვრებელში და იკვებება ერთად, განიხილეთ როგორც ერთი ოჯახი.
-- ოჯახი სახლში არ დაგხვდათ.
თუ თქვენ არავინ გამოგეპასუხათ, შეეკითხეთ მეზობელს, ცხოვრობს თუ არა ვინმე ბინაში, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ამოირჩიეთ დამატებითი ოჯახი სამუშაო დღის ბოლოს ცარიელი ოჯახის საკომპენსაციოდ. თუ მეზობელმა გითხრათ, რომ აღნიშნულ ბინაში ცხოვრობენ, მობრუნდით სამუშაო დღის ბოლოს.
-- გამოკვლევაზე უარის თქმის შემთხვევაში.
უარის თქმის შემთხვევაში სთხოვეთ თქვენს კოლეგას, ჯგუფის მეორე წევრს, ისევ მიაკითხოს დღის ბოლოს. თუ მაინც უარი მიიღო, გააფორმეთ ფურცელზე, შეცვლის შესახებ მოახსენეთ სუპერვაიზორს და აღნიშნეთ ანგარიშში.

კატეგორიულად არ შეიძლება გამოსაკვლევი პირის შერჩევა ოჯახში მისი წევრების რეკომენდაციით ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ან ამორჩეული გამოსაკვლევი პირის სახლში ყოფნის შემთხვევაში.
-- დიდი უპირატესობა მიანიჭეთ და მიუბრუნდით იმ კლასტერს, სადაც მეტია დანაკარგი. სწორედ მათში შეიძლება იყოს ატიპიური კონტიგენტი. ასეთი ხალხის გამორიცხვა შეცვლის შერჩევის სურათს
-- არაობიექტური იქნება შედეგი თუ დანაკარგი და უარის თქმის შემთხვევები გადააჭარბებენ 5-10%.
-- სახლები, სადაც არ დაგხვდნენ ან ყველამ უარი განაცხადეს, უნდა ჩაითვალოს როგორც დანაკარგი და მოხსენებულ იქნას საბოლოო ანგარიშში.

რა უნდა გააკეთოს თითოეულმა გამომკითხველმა (ინტერვიუერმა)

ინტერვიუერის ყოველდღიური რუტინა ასეთია:
-- ოჯახისთვის თავის წარდგენა, კვლევაზე ნებართვის აღება და ოჯახში გამოსაკვლევი პირის შერჩევა.
-- კითხვარის ლაკონურად და გასაგებად შევსება.
-- საეჭვო შემთხვევაში, მისი კოდირება, კითხვარის მინდორზე ჩანაწერის გაკეთება და სუპერვაიზორთან ერთად კოდის შესწორება.
-- დამატებითი მონაცემების შეგროვება საჭიროების შემთხვევაში.

სუპერვაიზორის პუნქტები

--- ინტერვიუერთა მომარაგება კითხვარებით.

--- ველზე მომუშავის სამუშაოთა 5%-ის მიმოხილვა (ერთი ყოველ 20-ში), შეცდომების შესწორება კითხვარში.

--- ინტერვიუერთა მიერ გამოკითხვის პროცესის ობიექტურობის დადგენა, რამოდენიმე ინტერვიუსა და გაზომვის გამეორება ინტერვიუერისგან დამოუკიდებლად, განსაკუთრებით კვლევების ადრეულ სტადიებზე.

--- ნაკლებ გამოხმაურების (რესპონსის) შემთხვევათა გამოკვლევა (უარი ან ცარიელი სახლები).

--- ინტერვიუერთა შემოწმება, შეიცვალა თუ არა ოჯახი ძნელად მისასვლელ ადგილზე შედარებით ადვილად მისასვლელით.

--- ყველა დასრულებული კითხვარის შემოწმება, მოგროვება, დაცულ ადგილას შენახვა, საჭიროებისამებრ ასლების დამზადება.

მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებული მკაცრი პირობები უნდა განისაზღვროს და ნათლად გააცნოს თითოეულ საველე მუშაკს.

მთელი თქვენი მუშაობა ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ ყველა გამოკითხული ადამიანი არის მთელი მოსახლეობის შემთხვევითი და ამრიგად, წარმომადგენლობითი სეგმენტი.

შერჩევითობის უზრუნველსაყოფად, ოჯახის შერჩევის პროცესი მკაცრად უნდა იყოს მოფიქრებული.

სუპერვაიზორის ფუნქციაა ხარისხის პერიოდული შემოწმება, რათა უზრუნველყოფილი იქნას თითოეული საველე მუშაკის – ინტერვიუერის მიერ მოწოდებული მონაცემების სანდოობა.

ამის განხორციელება შესაძლებელია შევსებული კითხვარების შემთხვევითი არჩევისა და რესპოდენტთან გადასამოწმებელი ე.წ. რეინტერვიუს ჩატარების გზით, ტელეფონით ან პირადად მისვლით, რათა დადასტურდეს მათ მიერ ინტერვიუერთან დაფიქსირებული პასუხების სისწორე.

- სასურველია ინტერვიუერებმა იმუშაონ წყვილად, მათ შეუძლიათ ერთდროულად ჩაატარონ გამოკითხვა მეზობელ სახლებში, ეს გაზრდის მათი უასფრთხოების შეგრძნებას, ამასთან იქნება საშუალება ერთმანათის დახმარებისა გადაწყვეტილებების მიღებისას ადგილზე.

ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელია კონსულტაცია კვლევის კოორდინატორთან,
ქალბატონ დალი ტრაპაიძესთან 8 77 750 741,
ეპიდემიოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელთან,
ქალბატონ თამარ აბესაძესთან 8 95 25 20 25

კითხვარი

მოგესალმებით, მე ვარ ----------
საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოებიდან, რომლის მიზანია ქვეყანაში მაღალი წნევის, გულის და სხვა ხანგრძლივად მიმდინარე, ე.წ. ქრონიკული დაავადებების და მათი ხელშემწყობი ფაქტორების წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ გამოკითხვის მიზანია, იძულებით გადაადგილებულ პირებში კომუნალური და ჯანდაცვის მომსახურების შესახებ ინფორმაციის შეგროვება აღნიშნულ სფეროთა სერვისების გაუმჯობესების მიზნით.

შეიძლება ოჯახის უფროსს გავესაუბრო, თანახმა ხართ, მიიღოთ მონაწილეობა კვლევაში?
□ დიახ □ არა ინტერვიუს დასასრული. ინტერვიუერის ხელმოწერა თარიღი: ——————————

ინტერვიუს დაწყების დრო ––– სთ –– წთ

ბლოკი – დემოგრაფია, ყოფა, კვება

1. **სქესი** ❑ მდედრ. ❑ მამრ.
2. **ასაკი** ———————— ❑ არ მაქვს პასუხი
3. **განათლება** ❑ დაწყებითი ან არასრული საშუალო ❑ საშუალო ❑ საშუალო ტექნიკური / სპეციალური ❑ დაუმთავრებელი უმაღლესი ❑ უმაღლესი განათლება ❑ უმაღლესზე მეტი ❑ არ მაქვს პასუხი
4. **ეროვნება** ----------
5. **სოციალური სტატუსი**
   ❑ დასაქმებული
   ❑ შრომისუუნარო – ❑ ინვალიდი, ❑ არაინვალიდი
   ❑ უმუშევარი, არ ვეძებ სასახურს
   ❑ პენსიონერი
   ❑ სტუდენტი
   ❑ დიასახლისი
   ❑ დროებით უმუშევარი, ვეძებ სამსახურს
   ❑ არ მაქვს პასუხი
6. **რამდენს შეადგენს თქვენი ოჯახის სერთო თვიური შემოსავალი**?
   ❑ 100 ლარამდე ❑ 101–300 ლარამდე ❑ 301–500 ლარამდე ❑ 500 ლარზე მეტი ❑ არ მაქვს პასუხი
7. **რაზე გეხარჯებათ თქვენი შემოსავლის ძირითადი ნაწილი?** (მიპასუხეთ პრიორიტეტულობის კლების მიხედვით)
   ❑ საკვები ❑ ტანსაცმელი ❑ წამალი ❑ სამედიცინო მომსახურება ❑ საწვავი ❑ არ მაქვს პასუხი ❑ პირადი ჰიგიენის საშუალებები ❑ კომუნალური გადასახადები ❑ ტრანსპორტი ❑ განათლება ❑ სხვა ----------
8. **რამდენსულიანია თქვენი ოჯახი**?
   ❑ 1 ❑ 2 ❑ 3 ❑ 4 ❑ 5 ❑ 6 ❑ 7 ❑ 8 და მეტი ❑ არ მაქვს პასუხი
9. **რამდენი ბავშვია თქვენს ოჯახში და როგორია მათი ასაკი?**
   1. ——— 2. ——— 3. ——— 4. ——— 5. ——— 6. ———--
10. **რამდენ ოთახს (კვ.მეტრს) იკავებს თქვენი ოჯახი ამ სახლში** (სამზარეულოს და აბაზანის გარდა)?
    ❑ ------- ოთახი ❑ -------- კვ.მ
11. **როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას**?
    ❑ არ ვგრძნობთ თავს გაჭირვებულად ❑ ძლივს გაგვაქვს თავი ❑ არ მაქვს პასუხი ❑ უკიდურეს გაჭირვებაში ვცხოვრობთ ❑ მიჭირს პასუხის გაცემა
12. **იმყოფებოდით თუ არა კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებებისას**?
    ❑ დიახ ❑ არა ❑ არ მაქვს პასუხი
    თუ პასუხია დიახ, რა დროის მანძილზე? ------ დღე ------ თვე.
13. **რამდენად დაცულად (უსაფრთხოდ) გრძნობთ თავს თქვენს საცხოვრებელ ადგილზე?**
    ❑ სრულიად დაცულად (უსაფრთხოდ) ❑ მეტ-ნაკლებად დაცულად (უსაფრთხოდ) ❑ თავს ვგრძნობ სრულიად დაუცველად ❑ არ მაქვს პასუხი
14. **ინფორმაციის მიღების რომელი საშუალებებით სარგებლობთ?**
    ❑ ტელევიზია ❑ რადიო ❑ პრესა ❑ სხვა ❑ არცერთით ❑ არ მაქვს პასუხი

15. არის თუ არა თქვენს დასახლებაში (თუ არის, აღნიშნეთ შესაბამისი)

- ❑ სასურსათო მაღაზია
- ❑ სამედიცინო პუნქტი
- ❑ პოლიციის განყოფილება
- ❑ აფთიაქი
- ❑ საპარიხმერო
- ❑ არ მაქვს პასუხი
- ❑ სკოლა
- ❑ გაზეთების ჯიხური
- ❑ არ არის და ამიტომ გვიწევს სიარული ---------- კმ მოშორებით

16. როგორია მომავალის თქვენეული ხედვა, როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება?

- ❑ გაუმჯობესდება
- ❑ დარჩება იგივე
- ❑ გაუარესდება
- ❑ არ მაქვს პასუხი

ბლოკი – წყალი და სანიტარიული მდგომარეობა

17. რა სახის წყალს იყენებს თქვენი ოჯახი?

1. სასმელად
2. საკვების მოსამზადებლად
3. საბანაოდ
4. სარეცხისთვის

18. გაქვთ თუ არა პრობლემები სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით?

- ❑ არა
- ❑ არ მაქვს პასუხი
- ❑ დიახ, კერძოდ კი: ❑ გემო
  - ❑ სუნი
  - ❑ ფერი
  - ❑ სიმღვრივე
  - ❑ სხვა

დააზუსტეთ ----------

წყლის ტიპი

- ❑ მდინარის
- ❑ წვიმის
- ❑ ავზის
- ❑ წყაროს წყალი
- ❑ ჭის
- ❑ ბოთლის
- ❑ არ ვიცი

ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი

19. მიმართავთ თუ არა ზომებს წყლის გაუვნებლობისათვის?

- ❑ დიახ

თუ დიახ, მიუთითეთ რომელს იყენებთ:

- ❑ არა
- ❑ არ მაქვს პასუხი
- ❑ ადუღება
- ❑ ქლორირება
- ❑ გაფილტვრა
- ❑ სხვა, დააზუსტეთ

- ❑ ქლორირება

20. თუ სასმელ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლისთვის წყაროზე გიწევთ სიარული:
❑ რა დროა საჭირო წყაროზე მისასვლელად, ასაღებად და უკან დასაბრუნებლად? ---------- წთ.
❑ ჩვეულებრივ ოჯახის რომელი წევრი უზრუნველყოფს წყლის მოტანას? ----------
❑ არ მიწევს ❑ არ მაქვს პასუხი

21. როგორი რეჟიმით მოგეწოდებათ წყალი?
❑ 24 საათიანი
❑ გრაფიკით / რა სახის ----------, სრულდება თუ არა ----------
❑ შეფერხებებით ❑ არ მაქვს პასუხი

22. უკანასკნელი 3 თვის მანძილზე რა სიხშირით ჰქონდა ადგილი ოჯახის წევრებს შორის?
❑ ფადარათის შემთხვევას ❑ ღებინების შემთხვევას
❑ თვალის და პირის ღრუს ლოწოვანის ანთება
❑ კანის ინფექციის შემთხვევას ❑ მიჭირს პასუხის გაცემა ❑ არ მაქვს პასუხი

23. რა სახის საფენს იყენებთ ბავშვებისთვის?
❑ არ მაქვს პასუხი ❑ ----------

24. რა სახის სანიტარიული კვანძით სარგებლობთ?
❑ ტუალეტი+აბაზანა ბინაში ❑ საერთო მოხმარების ტუალეტი ბინისგან მოშორებით
❑ მხოლოდ ტუალეტი ბინაში ❑ ვბანაობ სახლში, აბაზანის გარეშე
❑ საკუთარი ტუალეტი ბინისგან მოშორებით ❑ საერთო სარგებლობის აბანო
❑ სხვა ❑ არ მაქვს პასუხი

25. რა სიხშირით ბანაობთ?
❑ ყოველდღე ❑ თვეში ერთხელ ❑ თვეში რამდენჯერმე
❑ კვირაში ერთხელ ❑ სხვა, დააკონკრეტეთ ----------
❑ კვირაში რამდენჯერმე ❑ არ მაქვს პასუხი

26. არის სახლში საპონი?
❑ დიახ ❑ არა ❑ არ ვიცი

27. ენერგიის რომელ წყაროს იყენებთ საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად?
❑ ელექტროენერგია ❑ ნავთი
❑ ბუნებრივი აირი ❑ სალიარი
❑ შეშა ❑ სხვა ----------
❑ არ მაქვს პასუხი

28. იღებთ თუ არა დახმარებას საკვები პროდუქტებით?
❑ არა ❑ არ ვიცი ❑ არ მაქვს პასუხი
❑ დიახ თუ დიახ, რა პროდუქტებს და რა სიხშირით ----------

29. რა პრინციპით ნაწილდება სურსათით დახმარება?
❑ სულადობით ❑ კომლზე
❑ ბავშვების რაოდენობის მიხედვით ❑ სხვა, დააკონკრეტეთ ----------
❑ არ მაქვს პასუხი

30. იძენთ თუ არა კვების სხვა პროდუქტებს?
❑ დიახ ❑ არა ❑ არ ვიცი
თუ დიახ, რას ----------
და რა სიხშირით? ----------

31. რა სიხშირით ღებულობთ
ა) ხორცეულს: ❑ ყოველდღე, ❑ ყოველკვირა, ❑ თვეში 1-2-ჯერ, ❑ იშვიათად, ❑ არ ვიცი
ბ) რძის პროდუქტებს: ❑ ყოველდღე, ❑ ყოველკვირა, ❑ თვეში 1-2-ჯერ, ❑ იშვიათად, ❑ არ ვიცი
გ) თევზეულს: ❑ ყოველდღე, ❑ ყოველკვირა, ❑ თვეში 1-2-ჯერ, ❑ იშვიათად, ❑ არ ვიცი
დ) კვერცხს: ❑ ყოველდღე, ❑ ყოველკვირა, ❑ თვეში 1-2-ჯერ, ❑ იშვიათად, ❑ არ ვიცი
ე) ხილს: ❑ ყოველდღე, ❑ ყოველკვირა, ❑ თვეში 1-2-ჯერ, ❑ იშვიათად, ❑ არ ვიცი
ვ) ბოსტნეულს: ❑ ყოველდღე, ❑ ყოველკვირა, ❑ თვეში 1-2-ჯერ, ❑ იშვიათად, ❑ არ ვიცი
ზ) ტკბილეულს: ❑ ყოველდღე, ❑ ყოველკვირა, ❑ თვეში 1-2-ჯერ, ❑ იშვიათად, ❑ არ ვიცი.

ბლოკი – ქრონიკული დაავადებების მართვა

32. **გაქვთ თუ არა თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ქრონიკული დაავადება**? (1 წ. და მეტ ხანს გრძელდება)?
❑ დიახ ❑ არა ❑ არ მაქვს პასუხი
თუ დიახ, ვის და რა დაავადება ----------

33. **თუ გამხდარა ვინმე ავად ოჯახში ბოლო 30 დღის განმავლობაში?**
❑ დიახ ❑ არა ❑ არ მაქვს პასუხი
თუ დიახ, ვინ და რა დაავადებით ----------

34. **გაიარა თუ არა კონსულტაცია სამედიცინო მუშაკთან?**
❑ დიახ ❑ არა
❑ არ მაქვს პასუხი (გადადით 37-ე კითხვაზე)

35. **ვისთან გაიარეთ კონსულტაცია**?
❑ ექიმი ❑ ექთანი ❑ ფარმაცევტი ❑ არ მაქვს პასუხი

36. **კმაყოფილი ხართ თუ არა კონსულტაციით?**
❑ დიახ, დააზუსტეთ: ❑ ნაწილობრივ კმაყოფილი, ❑ კმაყოფილი, ❑ ძალიან კმაყოფილი
❑ არა (მიზეზი ----------)
❑ არ მაქვს პასუხი

37. **ბოლო 12 თვის განმავლობაში მოხვდა თუ არა თქვენი ოჯახიდან ვინმე საავადმყოფოში**?
❑ დიახ, რა მიზეზით ----------
❑ არა

38. **კმაყოფილი ხართ თუ არა სამედიცინო მომსახურებით საავადმყოფოში**?
❑ დიახ დააზუსტეთ: ❑ ნაწილობრივ კმაყოფილი, ❑ კმაყოფილი, ❑ ძალიან კმაყოფილი
❑ არა (მიზეზი ----------)
❑ არ მაქვს პასუხი

39. **უხშირესად ვის მიმართეთ ჯანმრთელობის პრობლემის გამო?**
❑ საავადმყოფო ❑ კერძო ექიმი ❑ არ მაქვს პასუხი
❑ ამბულატორული დაწესებულება ❑ აფთიაქი
❑ სამედიცინო პუნქტი ❑ სხვა

40. **როგორც დევნილი რა სახის შეღავათებით სარგებლობთ სამედიცინო მომსახურებისას?**
1. _____ 3. _____
2. _____ 4. _____
❑ არ ვსარგებლობ ❑ არ მაქვს პასუხი

41. **რამდენჯერ ჩაგიტარდათ უკანასკნელი 1 წლის მანძილზე უფასო სამედიცინო შემოწმება და რას მოიცავდა?**
1. _____ 3. _____
2. _____ 4. _____
❑ არ ჩატარებულა ❑ არ მაქვს პასუხი

42. **გაქვთ თუ არა დახმარება მედიკამენტით?**
❑ დიახ, ❑ არ მაქვს პასუხი
❑არა, გადადით 44 შეკითხვაზე

43. **არის თუ არა ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული მედიკამენტები თქვენი დაავადების სამკურნალოდ აუცილებელი?**
❑ დიახ ❑ არა ❑ არ მაქვს პასუხი

44. **თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრების აზრით რა არის თქვენთვის ძირითადი დაბრკოლება ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მისაღებად?**

---

45. **თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრების აზრით, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს თქვენთვის სამედიცინო მომსახურების მიღება?**

ინტერვიუს დასასრულის დრო სთ — წთ ——

ინტერვიუერის კომენტარი ——————————
ხელმოწერა —————————— თარიღი: ——————

სუპერვაიზორის კომენტარი ——————————
ხელმოწერა —————————— თარიღი: ——————

ბლოკი – დემოგრაფია, ყოფა, კვება

შეკითხვა 9. *რაზე გეხარჯაბათ თქვენი შემოსავლის ძირითადი ნაწილი?*
პრიორიტეტულობის კლება ნიშნავს პირველ რიგში შემოსავლის ჩამოთვლას ხვედრითი წონის მიხედვით და შესაბამისად 1-დან 10-მდე კოდის მინიჭებას.
ამ ბლოკის შეკითხვების ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია ოჯახის სოციალ-ეკონომიური სიტუაციების დასახასიათებლად.

ბლოკი –წყალი და სანიტარული მდგომარეობა

შეკითხვა 19. *რა სახის წყალს იყენებს თქვენი ოჯახი?*
აქ საუბარია პირველ რიგში სასმელი წყლის, მთავარ წყაროზე, თუკი იგი იცვლება სეზონების მიხედვით, მიუთითეთ ის, რომელსაც შინამეურნეობა იყენებს ამ სეზონისთვის.

შეკითხვა 21. *მიმართავთ თუ არა პირადად რაიმე ზომებს, სასმელი წყლის გაუვნებელყოფისათვის?*
ამ კითხვაზე ოჯახს შეიძლება რამდენიმე პასუხი ჰქონდეს, მიუთითე ყველა პასუხი და პასუხში „სხვა" -- დააკონკრეტეთ ეს მეთოდი,

შეკითხვა 22. *თუ სასმელ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლისთვის წყაროზე გიწევთ სიარული*
რა დროა საჭირო წყაროზე მისასვლელად, წყლის ასაღებად და უკან წამოსასვლელად?
ამ კითხვით ირკვევა, თუ რამდენად ადვილად მისაწვდომია შინამეურნეობისთვის სასმელი წყალი. ჩაწერეთ წუთების რაოდენობა, თუკი დასახელდა 100 წუთზე ნაკლები დრო, წინ ჩაწერეთ 0.
მაგ.: 20წთ შემთხვევაში დაიწერება 020.

ჩვეულებრივ ოჯახის რომელი წევრი უზრუნველყოფს წყლის მოტანას?
დააზუსტეთ ამ პირის ასაკი და სქესი, ვინც ყველაზე ხშირად დადის წყალზე.

შეკითხვა 26. *თქვენი ოჯახი ჩვეულებრივ, როგორი ტუალეტით სარგებლობს?*
ამ შეკითხვის მიზანია შეაფასოს ტუალეტის მდებარეობა და ტიპი (თურქული, ჩასარეცხი, სათლი, ორმო და ა.შ.) და აქედან გამომდინარე მისი სანიტარული მდგომარეობა.

შეკითხვა 27. *ამ ტუალეტით რამდენი შინამეურნეობა სარგებლობს?*
2-დან 9-მდე ციფრი, ან 10 და 10-ზე მეტი – შემოხაზეთ 10.
არ მაქვს პასუხის შემთხვევაში კოდი „98”.

შეკითხვა 30. *აქვს თუ არა თქვენს შინამეურნეობას ელექტრობა, რადიო, ტელევიზორი და ა.შ.?*
ეს შეკითხვებიც საჭიროა შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის განსაზღვრას იმ შემთხვევაში, თუ მოცემული საგნები არ არის მუშა მდგომარეობაში, იკითხეთ ექვემდებარება თუ არა ის შეკეთებას.

შეკითხვა 31. *ენერგიის რომელ წყაროს იყენებთ საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად?*
შინამეურნეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია. თუკი გამოყენებულია რამდენიმე წყარო – დააზუსტეთ, მათგან რომელს უფრო ხშირად იყენებს. თუკი ოჯახი იყენებს ისეთ ენერგიას, რომელიც არ არის მითითებული პასუხებში შემოხაზეთ „სხვა”, მიანიჭეთ კოდი 96 და დააკონკრეტეთ.

ბლოკი –ქრონიკული დაავადებების მართვა

ეს არი ფაქტიურად ძირითადი ბლოკი ჯანდაცვის სერვისებში მოქალაქეთა უკუკავშირების გამოსავლენად.

შეკითხვა 47 და 48. ეს გახლავთ ღია შეკითხვები, კვლევის თვისობრივი ფორმატის განმსაზღვრელი. რესპოდენტის გამონათქვამი გარკვიეთ და სრულად დააფიქსირეთ.

ინტერვიუერის კომენტარში იგულისხმება ის თქვენი აზრით მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც კითხვარში არ მოხვდა და გამოკვეთა თქვენი ყოფნისას ოჯახში (შესაძლოა ეს იყოს ოჯახთან რთული კომუნიკაციის დეტალები და ა.შ.).

რაც შეეხება სუპერვაიზორის კომენტარს, აქ იქნება აღნიშნული კითხვარის შევსების დეფექტები და რეინტერვიუს შესახებ გადაწყვეტილება (საუბარია ინტერვიუერის მიერ განმეორებითი ინტერვიუს საშუალებით ინფორმაციის შევსების საჭიროებას,).

ამას გარდა, კვლევაში იარსებებს ინტერვიუერის და სუპერვაიზორის საკონტროლო ფურცლები.